# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 6-16

« 18 » მარტი 2016 წ

ქ. თბილისი

**„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.შეტანილი იქნას ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


1:30,000

ცვლილებების საინფორმაციო მასალა





კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური



არსებული ფუნქციური ზონის კონტური

სარეკრეაციო ზონ 2 (რზ-2) (კორექტირებული ზონა)

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (კორექტირებული ზონა)

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) (არსებული ზონა)

**1. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ოქროყანის დასახლებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ## 01.18.01.002.141; 01.18.01.001.002; 01.18.01.002.134; 01.18.02.001.017), ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 10 მარტის #11 ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ. კრწანისის შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის მიზნით დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა-სა, სატრანსპორტო ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 2-ს შორის.**

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება სატრანსპორტო ზონა 1–ით და სარეკრეაციო ზონა 2-ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2016 წლის ოქმი #13), მოქ.: სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. **AR1387175**